| გაზეთი ღირს | | | |
| --- | --- | --- | --- |
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


**შინაარსი:** ტფილისი, 23 ივნისი.—ახალი ამბავი.—წერილები: ორიოდე სიტყვა ეტნოგრაფიის შესახებ, ა. გ—შვილისა.—ნარკვევი.—რუსეთი.—უცხოეთი.—გასართობი.—დეპეშა.—საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

**ფელეტონი:** რა დროს და საიდგან შემოიღეს ქართული ანბანი, მ. ჯანაშვილისა.

## სათეატრო განცხადება

ამ წლის ოქტომბრის თთვის დამლევიდამ დაიწყობა ქართული წარმოდგენები ბ-ნ ფორკატის ანტრეპრენიორობით ახალად აშენებულს ბანკის თეატრში და ამიტომ ვსთხოვთ დასში შესვლის მსურველთ როგორც ძველთა, აგრეთვე ახალთა, რომ თავის თხოვნით მოვმართონ ამ ადრესით: ვერა, მოსკოვის ქუჩა, პავლოვის სახლებში, მე-7 №-რი.

რწმუნებული ბ-ნ ფორკატისა
გ. აბაშიძე

ტფილისი, 23 ივნისი

როცა ამბობენ ესა და ეს ქვეყანა მდიდარიაო, ამით იმისი თქმა არ უნდათ, რომ ვითომ იმ ქვეყნის ერია მდიდარი, იმიტომ-რომ შესაძლოა ერი მდიდარი იყოს და ამ სიმდიდრეში თვითონ ქვეყანას, როგორც მომცემს ადგილს, არავითარი მონაწილეობა არა ჰქონდეს სიმწირის გამო. სიმდიდრეს ქვეყნისას შეადგენს ის ძალ-ღონე ჰავისა და მიწისა, რომელიც შესაძლოდა ჰხდის მოცემის მრავალგვარობას და რამოდენადაც ეს მრავალ-გვარობა დიდია, იმოდენად მდიდარია ქვეყანა. ამ საბუთით ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია, რადგანაც ჰავა და მიწა ბევრ გვარს საგანს სიმდიდრისას იძლევა, თუ კაცი ცნობიერად ხელს მოჰკიდებს და ცოდნით და ხერხიანად გაირჯება. ჩვენი ქვეყანა, მაგალითებრ, ღვინოს და კარგის თვისების ღვინოსაც იძლევა სხვათა-შორის. ამ მხრით იგი მდიდარია იმ ქვეყნებზედ, საცა ვაზი ჰავისა გამო ვერა ჰხეირობს.

ეს ხომ ესეა, მაგრამ ერთი საოცარი ამბავი უნდა შევნიშნოთ. ჩვენ არა ერთხელ გაგვიგონია ჩვენის ყურით გულის ხმიერ-შინაურ კაცთაგან, რომ გლეხობა იქ არის ჩვენში ღარიბი და უქლთამდე ვალში ჩაცვივნული, საცა ვენახობა და, მაშასადამე, ღვინის კეთება გახშირებულია და საცა გლეხ-კაცობა ამ ვენახობაზედ არის უფრო მეტად თავ-დადებულიო. პირ-იქით, საცა გლეხობა მარტო ხვნა-თესვას მისდევს, იქ-კი გლეხნი უფრო შეძლებულნი და უვალონი არიანო. ხშირად ამის დასამტკიცებლად თვითონ სოფლებიც დაუსახელებიათ და ამ სოფლების მცოდნე კაცებს უთქვამთ, რომ ამ დასახელებულ სოფლებში მართლა ეგრეა გლეხთა მდგომარეობაო. ჩვენც თვითონ გამოგვიძიებია ეს საოცარი ამბავი ჩვენს ახლო-მახლო თვითო-ოროლა სოფლებში და, ჩვენდა სამწუხაროდ, გამოძიებას არც ერთგან არ გაუმტყუნებია ზემოხსენებული ნათვალევი შინაურ კაცებისა: ყველგან საცა-კი თვალი მიგვიწვდენია, გამოსულა, რომ გლეხობა იქ უფრო შეძლებულია და უვალო, საცა ვენახები ან სულ არა აქვთ, ან ძალიან ცოტა და საცა უფრო ხვნა-თესვაა, ვიდრე სხვა რამ მიწათ-მოქმედება.

ეს ისეთი დაუჯერებელი ამბავია პირველ შეხედვით, რომ ჩვენს თვალსაც არ ვუჯერებდით და გულში ვამბობდით, თვითო-ოროლა სოფლის მაგალითი ჯერ კიდევ საბუთი არ არის სიღარიბის მიზეზად ვიცნათ საგანი სიმდიდრისა, რომელსაც ღვინო წარმოადგენს. მართალიც არის: როგორ დავიჯეროთ, რომ ღვინომ, ესე იგი, ამ შემთხვევაში მომატებულმა წყარომ სიმდიდრისამ ერი გააღარიბოს. ეს მადლის ცოდვად გადაქცევა, ეს ლხინის ჭირად გარდაქმნა ჭკუაში როგორღაც არ მოდის, ლოღიკა როგორღაც ვერ ითვისებს, ვერ იწყნარებს: აქ უნდა სხვა რამ მიზეზი იყოს და ამ მიზეზის გამორკვევა მეტად საინტერესო გახდა ჩვენთვისა. დრო გადიოდა და ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთი დიდი მემამულე, რომელსაც ორასის დღის ვენახი აქვს გადაჭიმული ერთს ადგილას, ნებას არ აძლევს გლეხობას მის მამულში ვენახი აიშენონ სწორედ იმ მიზეზით, რომ ჩემი გლეხობაო, რომელიც ეხლა მარტო ხვნა-თესვას მისდევს და ცოტად თუ ბევრად წელ-მაგარია, გაღარიბდება, რაკი ვენახის დავიდარაბას აიკვიატებსო. ჩვენ ვიცნობდით ამ მემამულეს და საინტერესოდ გაგვიხდა მისგან ამ საგანზედ შეგვეტყო რამე. მან გვითხრა, რომ სწორედ ეგრე ვიქცევი ჩემს მამულში და ჩემისთანა უვალო და შეძლებული გლეხობა ბევრს არ უსახლიაო. ჩემს გვერდით ჩემობას ერთი პატარა სოფელი დაშენდა სახელმწიფო მამულზედაო და როცა ამ პატარა სოფლის გლეხთა ვენახების გაშენება დააპირეს, ბევრი ვურჩიეო, თუ თავის ჯადაგვა არ გინდათ, ვენახებს თავი დაანებეთ, მარტო ხვნა-თესვას მიჰყევითო. არ დამიჯერეს და ეხლა ჰნანობენო: ყელთამდე ვალებში არიან და ჩემი გლეხები-კი იმოდენად კარგად არიან, რომ ისინი ამათ შეჰნატრიანო. დღესაც იმ ადგილებში გარშემო ვენახები აქვს გლეხობას და მარტო შუა-გული მამულია ხსენებულ მემამულისა, საცა არც ერთს გლეხს ვენახი არა აქვს და არც ნდომობს, რომ იქონიოს.

ჩვენ ეს ამბავი სულ სხვა მიზეზს მივაწერეთ, რადგანაც ლოღიკას როგორღაც არ ეფერებოდა. ჩვენ გვეგონა, რომ რადგანაც ხსენებულს მემამულეს სულ ხიზნები ჰყავს თავის მამულში, ამ მიზეზით ნება არ მიუცია ვენახების გაშენებისა, რომ მკვიდრად ფეხი არ მოიკიდონ მამულში და მერე სავიდარაბოდ არ გაიხადოს საქმე. ამის გამო სულ სხვა მიზეზი შევწამეთ და არა ის, რასაც იგი გვაუწყებდა. ეხლა-კი ეს საოცარი ამბავი სხვა მხრიდამაც ჰმართლდება.

ხომ მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენელმა ჩვენში ბ-ნმა ტიხეიევმა რჩეულნი მოხელენი გაჰგზავნა სხვა-და-სხვა ადგილას ჩვენში სახელმწიფო გლეხთა ეკონომიურის ყოფა-ცხოვრების გამოსაძიებლად. ამათგან ერთმა ბ-ნმა არდუთინსკიმ გამოიძია თელავისა და სიღნაღის მაზრის გლეხობის ყოფა-ცხოვრება და როგორც ეტყობა საბუთიანადაც, და იმასაც, წარმოიდგინეთ, იგივე შეუნიშნავს შესახებ იმ გლეხებისა, რომელნიც ვენახობას უფრო მისდევენ. იგი ამბობს, რომ საცა გლეხობა ვენახობას აჭყოლია ამ ორს მაზრაში, ნამეტნავად თელავისაში, იქ გლეხობა ვალშია, ღარიბია და სახელმწიფო გადასახადის დარჩენილი ფულიც იქ მეტია, ვიდრე სხვაგანაო. ამის დასამტკიცებლად საბუთებიც მოჰყავს საკმაოდ შესაწყნარებელი.

რაკი ამ მხრითაც შემოწმებულია დღეს ის დაუჯერებელი ამბავი, რომელიც წინად მოვიხსენიეთ, არ შეიძლება კაცმა ყურადღება არ მიაქციოს და მის ვითარებას არ ჩაუკვირდეს. როგორ გადაექცა ჩვენს გლეხობას ერთი კაი მოზრდილი წყარო სიმდიდრისა სიღარიბის სათავედ—ამის გამოძიება და გამორკვევა მეტის მეტად საინტერესოა და ჩვენ ამ საგანს ჩვენის შეძლებისამებრ გამოვიკვლევთ.

## ახალი ამბავი

*** ბ-ნ ფორკატის უკისრნია ანტრეპრენიორობა ქართულ დრამატიულ დასისა და ბ-ნ ვასო აბაშიძისათვის მიუნდვია მოელაპარაკოს ქართველ არტისტებს, ქალებსა და კაცებს, ჩაეწერონ ბ-ნ ფორკატის დასში, რომელმაც ოქტომბრის დამლევიდამ უნდა დაიწყოს მოქმედება და ჰმართოს წარმოდგენები.

*** ქართველ სცენის მოყვარეთ უნდა შევატყობინოთ, რომ ბ-ნ ვასო აბაშიძეს განუზრახავს ქართულის წარ-

---

# ფელეტონი

## რა დროს და საიდგან შემოიღეს ქართული ანბანი

(ილია ოქრომჭედლიშვილის წერილის გამო „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“.)

(შემდეგი*)

ყველა თქმულიდამ ჩვენის და სხვათა ენების განვითარებისა, ისტორიისა და ანბანებისა ჩვენ გამოგვყავს შემდეგი დასკვნა: ა) ქართველთ მხედრული წარმოსდგა ფრიად ძველს დროს. ეს მტკიცდება მით, რომ ა) 13 ასო ამ ანბანისა განვითარებულია მაშინვე, როდესაც წარმოსდგა დედანი ყველა ანბანთა, ესე იგი ფინიკური და ბ) იმავე ხანისა, რა ხანისაც არის ნიმუშები მხედრულისა, უნდა იყოს ზოგიერთი ასო-მთავრულიც, რადგან მისი ნიმუშებიც მოიპოვებიან იმავე ფინიკურ ანბანში; ბ) ქართველთ პირველად განსაკუთრებული ანბანი არა ჰქონიათ, არამედ ჩვენი ანბანი ყოფილა მხედრულ-ასო-მთავრულებით შერეენილი, რადგან ორთავეს ნიმუშები ჯერ ერთი რომ მოიპოვებიან ფინიკურ დედანში და მეორედაც იეროგლიფურსა და სურათულ წერაში, მხოლოდ იმ განსხვავებით-კი, რომ მხედრულების რიცხვი მეტი ყოფილა, ვიდრე ასო-მთავრულებისა; დ) პირველ დროს მხედრულებს გარეგანი შეხედულება ჰქონიათ ნუსხურისა და არა-ჩვეულებრივისა; ე) შერეენილ ნუსხურ ასო-მთავრულებიდამ დროთა განმავლობაში განსაკუთრებული სახე მიუღიათ ასო-მთავრულებსა, მხედრულ ჩვეულებრივსა, თვით ნუსხურსა და ხუცურს ჩვეულებრივსა.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იეროგლიფურ წერაში კიდევ გვხდება ქართული ი, ტ, ღ, გ და მისირიულ ანბანში: ვ, ო, ყ, ყ, არამეულში: ვ, ჲ, ც, ებრაულში: ხ, ჯ, ლ (ნუსხური),—ვიმეორებთ თუ მივიღებთ ყოველსავე ამას მხედველობაში, მაშინ შეგვიძლიან აღვადგინოთ დედანი ქართულის პირველ ანბანისა: ა, ყ, გ, დ (ნუსხური), ე (ნ), ვ, ზ (ნ), Ⴊ, თ, ი, ჴ, ლ (ნ), შ (ნ), ჲ, ო (ჩვეულებრივი), Ⴑ, ჟ, Ⴋ, ს, ტ, Ⴍ, ვ, ფ (ფინიკიურის ნიმუში), ქ, Ⴖ, ყ, ყ, ჰ (ნ), ც, ძ, Ⴊ, Ⴌ, ხ, Ⴗ, ჯ, Ⴡ, ჵ. ესეთი იქნებოდა პირველი ანბანი ქართველთა. მხოლოდ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ, ჩვენის აზრით, ამ ანბანს ძველს დროს ბევრი ასო ეკლებოდა (მიზეზს დავასახელებთ შემდეგ).

ამ ანბანიდამ პალეოგრაფიულ წესის მიხედვით განვითარებულან ჩვენი სხვა ანბანები. მართლაცა-და ა-დამ, რომელიც წინად იწერებოდა უკულმაც (იხ. მე-XI ს. წიგნები), ადვილად წარმოსდგებოდა ასო-მთავრული Ⴀ, ე-დამ Ⴄ, ზ-Ⴆ, თ-Ⴇ, ნ-Ⴌ, მ-Ⴋ, ქ-Ⴕ, ს-Ⴑ, ქ-Ⴔ, ყ-Ⴗ, რ-Ⴐ, ც-Ⴚ, ძ-Ⴛ, ჭ-Ⴝ.

ნუსხურებიდამ მხედრულ ჩვეულებრივამდე და ასო-მთავრულებიდამ ხუცურ-ჩვეულებრივამდე ხომ ერთი ნაბიჯი-ღაა.

ასე, ყოველივე მოყვანილ საბუთების მიხედვით, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ, როგორადაც ყოველი ერის ანბანების დედნები ყოფილა ჩვენი ნუსხურის მსგავსი ანბანი, ისე ჩვენის ოთხისავე ანბანის მამათ-მთავარი ყოფილა ნუსხური ზოგიერთა ასო-მთავრულების დამატებით. ეს შერეენილი ანბანი ორ ტოტად წამოსულა: ერთის ტოტიდამ წარმომდგარა ჯერ ასო-მთავრულები და შემდეგ ხუცური ჩვეულებრივი. რადგან პირველის ნიმუშები უფრო ჰგვანან ნუსხურსა, ვიდრე მეორეებისა, მეორე ტოტიდამ მხედრულ ჩვეულებრივი და ნუსხური.

გვიწამს ისიც, რომ ზედ-მიწევნით აღნიშნვა იმისა, თუ სახელდობრ რა და რა დროს მიიღეს ყველა ჩვენ ანბანებმა თვისი განსაკუთრებული სახე, არ შეიძლება. ამის შესახებ მხოლოდ ის გვეთქმის, რომ ზემორე ხსენებულ შერეენილ ანბანიდამ დაიბადა ორი შვილი (ნუსხური და ასო-მთავრული). შემდეგში ნუსხურს ეყოლა შვილი, რომელიც დაეჭკაცდა და მიიღო სახე მხედრულ ჩვეულებრივსა და მეორე—ხუცური ჩვეულებრივი, რომელიც დაეჭკაცდა და მიიღო თვისი აწინდელი სახე. მაშასადამე მხედრულ ჩვეულებრივი და ამ გვარივე ხუცური არიან შვილის-შვილნი, ნუსხური და ასო-მთავრულები ძმანი და ზემორე აღნიშნული შერეენილი ანბანი-კი პაპა. ამ გვარ მონათესაობით აიხსნება, ჩვენის აზრით, ის გარემოება, რომ ქართულს ანბანებში მრავალია ერთნაირი ასოები. მაგალითად, ყველაში: Ⴄ, თ, Ⴊ, ს, შ და სხ. ამ ნაირ მონათესაობით აიხსნება ალბად ის გარემოებაც, რომ ქართველნი წიგნის შედგენისა თუ გადაწერის დროს, არა ხმარობდნენ განსაკუთრებით ერთს რომელსამე ანბანსა, არამედ ორსა და სამს ერთად. მაგ., სათაურებს ან სიტყვების პირველ ასოებს სწერდენ ასო-მთავრულებით და ტექსტს-კი სხვა ასოებით. იქნება თვით სახელ-წოდება ამ ასო-მთავრულებს იმიტომაც დაერქვა, რომ ივინი, სხვათა შორის, ერივნენ იმ პირველ მამათ-მთავარ ანბანში, რომლიდამაც წარმოსდგნენ სხვები.

აქ, რასაკვირველია, ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ თუ ფინიკურ ან მისირიულ ანბანებში მოიპოვება ქართული ასოები, აწ და მისირიულ სურათულ და იეროგლიფიურ წერაში, ქართველებმაც სწორედ იმავე დროს, რა დროსაც ფინიკიელებმა ისწავლეს წერა, შემოიღეს თვისი ანბანიო. ესრეთი დასკვნა რომ გამო-

*) იხ. „ივერია“ № 126.

მოდგენების გამართვა ვასილიევის ბაღში, მიხაილოვის ქუჩაზე, საქალაქო საავადმყოფოს პირ-და-პირ. პირველ წარმოდგენას თურმე მომავალ კვირისათვის აპირებენო.

*** რკინის-გზით დიდ-ძალი ხალხი მიემგზავრება ტფილისიდამ აბასთუმანსა და ბორჯომში. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ვაგონების სიცოტავის გამო მგზავრებს ვერ უშოვნიათ დასაჯდომი ადგილი და მომატებულ ნაწილად სულ ფეხზე დგანან; ზოგჯელ მანდილოსნებიც კი ვერა ჰპოულობენ დასაჯდომ ადგილსა. საკვირველია, რატომ გზის უფროსები არ მიაქცევენ ყურადღებას და არ მოუხერხებენ მგზავრებს, რომ ვაგონებში ყველას თავისი ადგილი ჰქონდეს. მართლაც და, მუქთად ხომ არ მიდიან, ფულს არ აძლევენ თუ!

*** როგორცა გვწერენ, ხაშურის მცხოვრებნი ძრიელ შეუწუხებია იქაურ რკინის-გზის მუშების ამხანაგობას თავისის უწესო საქციელით. თუ რაიმე შინაური პირუტყვი გაივლის და გაიწაწანებს რკინის-გზის საწყობთან, მაშინვე ჰხოცვენ, თითონვე შეექცევიან ხორცსა და ამ გვარად უკანონოდ სარგებლობენ ხალხის უცოდინარობით. ამას წინად თვით ბუფეტის პატრონს მოუკლეს ერთი საუკეთესო მაკე ღორი, რომელსაც მუცლიდამ ამოუღეს თერთმეტი გოჭიო.

იგივე მუშათა ამხანაგობა, იქაურ ამწონავის ბრძანებით, ძრიელა ჩაგრავს თურმე ზოგიერთა საქონლის მიმღებთა და გამგზავნელთ, რომელთაც-კი შეატყობენ, რომ სამაგიეროს ვერ გადაგვიხდისო. ზოგჯელ ცემა-ტყეპასაც-კი დაუწყობენ ხოლმე და საჩივლელადკი თითონვე გარბიანო.

*** იქიდამვე გვატყობინებენ, ვითომც აქამომდე ხაშურის ბუფეტში რიგიანად აკეთებდნენ საჭმელ-სასმელს და მგზავრებიც კმაყოფილნი იყვნენ. ეხლა-კი, როცა ბევრი ხალხი მიაწყდა და გამვლელ-გამომვლელი და მუშტარი ბლომად დაიგულა, ბუფეტმა, იმის მაგიერ, რომ უფრო გაეუმჯობესებინა სასმელ-საჭმელი კაი მოგების გამო, თითქო გული აიცრუა და ძრიელ უგემურად ამზადებს საჭმელებსა.

*** გუშინ ჩვენ ვაცნობეთ მკითხველებს ის უბედური შემთხვევა, რომელიც 19 ივნისს მოხდა ქ. ბაქოს ვაგზლის ბაქანზე. გაზეთს „Касп.“-ში ეხლა ვკითხულობთ დაწვრილებით ამ საქმის ვითარებას. საქმე ასე ყოფილა. ბაქანზე იდგა თურმე ახალგაზდა ლეკი, შუათანა ტანისა, ხელში ქილა ეჭირა. კიდეც მოვიდა მატარებელი. ლეკი მივიდა მესამე კლასის ვაგონთან იმ განზრახვით, რომ ჩამჯდარიყო შიგა, მაგრამ აქვე მდგარმა ჟანდარმმა იგუმენცევმა სტაცა მკლავში ხელი და გააგდო იქიდამ. მაშინ ლეკმა გადიგდო ტყავი, ამოიძრო ხანჯალი, დაჰკრა ჟანდარმს და გაუჩეხა თავი, დაუჭრა კისერი, მხარი და ხელი. იქვე მდგომმა ხალხმა შიშით უკან დაიწია. ამით ისარგებლა ლეკმა და გაექანა მესამე კლასის ზალისაკენ, თანაც იქნევდა ხანჯალსა, რომლითაც დასჭრა ჟანდარმი რევი. ზალის კარებში იდგა თათრის ბიჭი, რომელსაც ლეკმა შემოჰკრა ხანჯალი რამდენჯერმე და იქვე მოჰკლა; მერე წინ შემოეყარა ყარაული სტეფანოვი და ისიც დასჭრა ხელშია. ამის შემდეგ დაინახა კონდუქტორი სისორდია და მებუფეტე გაგუა, რომელნიც საუზმესა სჭამდნენ, მიჰვარდა იმათაცა და რამდენსამე ადგილას დაჰკრა ხელებში ხანჯალი. როცა ზალიდამ გამოდიოდა, დასჭრა თათრის დედაკაცი და იმისი ძუძუ-მწოვარა ბავშვი. შემდეგ ამისა გასწია კიბისკენ, ჩაირბინა ძირსა და აჩქარებული გარბოდა. ჯერ არ გადაედგა 20—30 ნაბიჯი, რომ ვაგზლის ბაქანიდამ ჟანდარმმა გაავარდა ამ ლეკს რევოლვერის ტყვია, მაგრამ ტყვია ასცდა. ლეკი უცებ შესდგა, თითქო გაქვავებულიაო. ამ დროს მიჰვარდა მას ხმალ-ამოღებული ჟანდარმი, რომელსაც უკან მოსდევდა ხალხი, კეტებითა და ქვებით შეიარაღებული. ხალხმა დაუწყო ქვის სროლა და ერთი ნასროლი ქვა ლეკს თავში მოჰხვდა. ამის შემდეგ ჟანდარმმაც მოიქნია ხმალი, დაჰკრა თავსა და ფეხებში და რამდენსამე ადგილას მძიმედ დასჭრა. ერთმა სპარსელმაც დაარტყა თავში კეტი და მაშინ-კი ლეკი ცოცხალ-მკვდარი დაეცა ძირსა. ამის შემდეგ დაჭრილი და გალახული ლეკი წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც იარების შეხვევის უმალვე განუტევა სული. როცა გასინჯეს ლეკის გვამი, აღმოაჩნდა 7 მძიმე ჭრილობა მარცხენა ფეხზე და ორ ადგილას სრულიად გადაჭრილი ჰქონდა ძვალიცა, 6 ჭრილობა თავზე: ორი ხმლითა და ოთხიც კეტით.

*** გაზ. „Нов. Вр.“ გვატყობინებს: ტფილისსა და ქუთაისში შესდგა ორი საზოგადოება ვენახთა პატრონებისა; ამ საზოგადოებათა განზრახვა აქვთ დაიცვან თავიანთი ვენახები ფილოქსერისაგანაო და ამიტომაც ისინი პირობით შეჰკვრიან საფრანგეთის მებაღეს, პიერ ტრემოს, რომელსაც ამ ხანებში უპირატესობა მიუღია სამის წლის ვადით თავის მიერ მოგონებულ საშუალებაზე ვენახების მოსავლელად ფილოქსერისაგან ამიერ-კავკასიაში.

*** აბასთუმნიდამ გაზ. „კავკაზ“-ს სწერენ: დიდი სიძვირე ჩამოვარდა სახლებისა, რადგან ბევრი ხალხი მოაწყდა საზაფხულოდ აბასთუმანსაო. ერთი ოთახი, კარგა მოზრდილი და ნათელი, ფასობს თვეში 120 მანათადაო.

---

## ორიოდე სიტყვა ეტნოგრაფიის შესახებ.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე იბეჭდება ეგრედ-წოდებული საეტნოგრაფიო წერილები. ზემოხსენებული წერილები საყურადღებო განძია ჩვენის ღარიბ მწერლობისათვის. განძ-წერილების ავტორნი, ჩემის აზრით, ეკუთვნიან ჩვენის საზოგადოების უკეთესს და პატივ-საცემ მოღვაწეთა; მათი საეტნოგრაფიო ნაწერები ჩვენს ლიტერატურაში პირველი ცდაა, რომელსაც, რასაკვირველია, აქვს ზოგიერთი რამ ნაკლი, მაგრამ ამ ბედს რომელი მომაკვდავი ასცდება, მომეტებულად, თუ საგანს სულ პირველად იკვლევ და სწავლობ. მაინცა-და-მაინც ეს წერილები ქართულ ისტორიისათვის ძვირფასი მასალაა. რიცხვი ამ საეტნოგრაფიო წერილების ავტორთა მცირედია: ბ-ნი ნ. ურბნელი, თავის არა უმნიშვნელო წერილებით შესახებ ხევსურთ ცხოვრებისა, ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, თავისუფალი სვანი, რომლის შეგროვილი მასალები ხელთა ჰქონდათ რუსეთის გამოჩენილ პროფესორთა: მაქსიმ კოვალევსკისა და ივანიუკოვს. აი პატარა წრე ქართველთ ეტნოგრაფთა. როგორც მოგეხსენებათ, ეტნოგრაფია ერთ გვარი საისტორიო მასალაა; მაშასადამე, რაც ითქმის ისტორიაზე საზოგადოდ, თითქმის იგივე უნდა ითქვას კერძოდ ეტნოგრაფიაზე. მეცნიერი მეისტორიე სცდილობს საგანი განიხილოს პირუთვნელად და ასწეროს საისტორიო მოვლენა და ამბავი იმ გვარად, როგორც ნამდვილად მოხდა...

სრულიად საეჭვო არ არის, რომ ყოველ მხრივ შესწავლას, როგორადაც ძველის დროის, აგრეთვე თანამედროვე ერთა ცხოვრებისას, ჰქონდა და აქვს ეხლაც დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა და პრაქტიკული ინტერესი. ეხლა ყველა ცოტაოდენ განათლებულს და განვითარებულს კაცს ამ გვარი შესწავლა თავის ერისა მიაჩნია უსაჭიროესს მოთხოვნილებად. გაცნობა რომელისამე ერის პოეზიისა, მისის სარწმუნოებისა, საოჯახო და საზოგადო ცხოვრებისა გვაძლევს დიდს საშუალებას აღვადგინოთ შეუცდომელად ამ ერის უმთავრესი თვისებანი, პირუთვნელად და სამართლიანად დავაფასოთ მისის აზრისა და ზნეობის განვითარება. დღეს, ჩვენდა სასიხარულოდ, ეტნოგრაფია აღიარებულია ძვირფას ისტორიის მასალად; ეტნოგრაფია არის ის ფრიად საყურადღებო იარაღი, რომლის შემწეობით შესაძლებელია ნათლად შევიგნოთ ერის ფიზიონომია, ავი და კარგი, ერთის სიტყვით, მისი სული და გული. საზოგადოდ შესწავლა რომელისამე ეხლანდელის ერის ეტნოგრაფიისა უფრო ადვილია, უფრო შესაძლებელია, ვიდრე იმ ერისა, რომელმაც ისტორიის ფართო მოედანი დასტოვა და სხვებს უანდერძა. ეხლანდელი ერი მეცნიერებისათვის არის ცოცხალი სხეული; იგი მეცნიერისათვის მუდმივის გამოკვლევის საგანია და ამიტომაც ამ შემთხვევაში ყოველ-გვარი ისტორიულ თუ იურიდიულ ცნობათა მოგროვება უფრო ადვილია და არ შეადგენს ძნელს საქმეს. მკითხველს კარგა მოეხსენება, რომ ეტნოგრაფიას აქვს თავისი ისტორია, თავისი წარსული. მან თავის განვითარებაში, ვიდრე ჩვენ დრომდე მოაღწევდა, გამოიარა რამდენიმე ისტორიული ხანა. ურიგო არ იქნება, გაკვრით მაინც აღვნიშნოთ ეს „წარსული“ ეტნოგრაფიისა.

დასავლეთ ევროპის ისტორიაში არის ერთი საყურადღებო და დიდად შესანიშნავი დრო, რომელსაც მეცნიერება უწოდებს „ხელოვნების და მეცნიერების აღორძინების ხანას“. სწორედ ამ დროს შემდეგ იბადება ის ეტნოგრაფია, რომლის უმთავრესს საგნად იყო შესწავლა ძველის დროის კლასსიკურ ერთა ყოფა-ცხოვრებისა; მხოლოდ ამ პირველ დროს უფრო სხვა-და-სხვა ავტორების თხზულებას და ხელთ-ნაწერებს ეძიებდნენ. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დროს ნაკლებ აქცევდნენ ყურადღებას ისტორიულ მხარეს; უფრო სწავლობდნენ ძველ ერთა ენასა, მათს ლიტერატურასა და არა ისტორიასა. იმ დროის მეცნიერნი ერთობ გატაცებულნი იყვნენ კლასსიკურ ერთა იდეალებით, რომელნიც ეწინააღმდეგებოდნენ და სრულიად უარ-ჰყოფდნენ საშუალ საუკუნოთა „ბერების“ იდეალებსა. შემდეგ მე-XVI საუკუნეში მეცნიერებმა ძალიან დიდი ყურადღება მიაქციეს კლასსიკურ თხზულებათა ისტორიულ ნაწილსა. სუსტი მხარე ამ მეცნიერთა ის არის, რომ მათ, რომაელთა და ბერძენთა ისტორიით გატაცებულთა, სრულიად არაფრად მიაჩნდათ ეხლანდელ ერთა ზნე-ჩვეულებანი, მისი პოეზია და სხვანი. მე-XVI საუკუნეში მეცნიერნი საფრანგეთისა, გერმანიისა, ჰოლანდიისა აგროვებენ დიდის ინტერესით მრავალ გვარ ცნობათა შესახებ მხოლოდ რომაელთ და ბერძენთ ისტორიისა. ამ ცნობების შემწეობით ისტორიული მასალა ძალიან ბლომად მოგროვდა და სწორედ ამავე დროს იწერება მრავალნი ისტორიულნი თხზულებანი, რომელთაც დღევანდლამდე არ დაჰკარგეს თავისი მნიშვნელობა. ამათ შინაარსს, როგორც წინადაც შევნიშნე, შეადგენენ რომაელთ და ბერძენთა ჩვეულებანი, საქორწინო და მიცვალებულთ დამარხვის წესნი, მათი საოჯახო ცხოვრება და სხვა. ამ მეცნიერთა გუნდში თავის დროზე უფრო სახელ-განთქმულნი იყვნენ: **გრონოვი და გრევი.**

---

გვეყვანა, ეს იმას ეგვანებოდა, რომ გვეთქვა: ოსებმა ამ 30 წლის წინად რუსული ანბანი შემოიღეს, მაშასადამე მათი ანბანიც ისეთივე ძველია, როგორადაც რუსული ანბანიო, რომელიც წარმოსდგა მე-XVII საუკუნეში ქრისტეს შემდეგ.

მაშ დაახლოვებით რა დროს უნდა ეკუთვნოდეს საქართველოში ანბანის შემოღება და საიდგან უნდა იყოს შემოღებული?

ჩვენის აზრით, საქართველოში პირველ ანბანის შემოღება უნდა ეკუთვნოდეს იმ დროსა, რა დროსაც თითქმის ყველა ძველის მწერლების ჩვენებით იბერია საზოგადოდ წარმოადგენდა კეთილ-დაწყობილ, მდიდარ და მოშენებულ ქვეყანას; იმ დროს, როცა ამ ქვეყნის მკვიდრთა გაყვანილი ჰქონდათ სავაჭრო და სანაოსნო გზა შორეულ ინდოეთთან და გაჩაღებული აღებ-მიცემა, ვაჭრობა დაწინაურებულ, ანბანის მცოდნე ერებთან, როგორნიც იყვნენ ფინიკიელნი, მისირიელნი, ებრაელნი, ასირიელნი და სხვანი. ამასთან ხშირ მისვლა-მოსვლას არ შეეძლო ზედ-გავლენა არა ჰქონდა ჩვენს ერზე და არ ეგრძნობინებინა განათლების, წინ-სვლისა და ანბანის შემოღების საჭიროება. ერთის სიტყვით, ანბანის შემოღება და გავრცელება საქართველოში უნდა ეკუთვნოდეს არა უახლოესს იმ დროისა, როდესაც ქართველთა ტომს დიდი რიხი, გავლენა ჰქონია მაშინდელ „ენათა შერევნის“ და უძლიერეს ერთა ურთიერთ მტრობის დროს, რომ შესძლებია თვისი გავლენა დაეტყობინებინა ადგილთა და ქვეყანათათვის მცირე აზიის შუა-გულიდამ მოკიდებული, ვიდრე დარუბანდამდე და თვის მტერთათვის შეეჩვია და ესწავლებინა საკუთარი სახელები და საქონელიც, სხვათა შორის, ჩინებული სარდონული სელი, განთქმული ღვინო, რუკანი ქვეყანათა, აბრეშუმი, ძვირფასი ქვები, სპილენძი, რკინეულობის ნაკეთი ნივთები, როგორ ამას ჰმოწმობს ჱომიროსი მე-850 წ. ქრ. წინად და სხ.

მაშასადამე, ჩვენის აზრით, საქართველოში უნდა გავრცელებულ იყოს ან იმ დროს, რა დროსაც მისირეთი დაიპყრეს მენახირეებმა (214 წლ.), ან იმ დროს, როდესაც ისტორიკოსების ჩვენებით სეზოსტრისმა მისირიელნი და ეთიოპელნი დაასახლა კოლხიდაში (მე-XIV ს.), რადგან ამ შემთხვევაში თუნდაც ქართველებს არა სცოდნოდათ წერა, ეს ახალ დასახლებულები ასწავლიდნენ მათ, რადგან თვით უკვე იცოდნენ წერა.

ყოველ შემთხვევაში ანბანის შემოღება საქართველოში უნდა ეკუთვნოდესს არა უახლოესს მე-XIV ს. ქრ. წინად. თუ დაგვიმტკიცებენ, რომ ამ დროს ქართველნი ვერ მოიგონებდნენ ანბანსა, ან და ანბანის მცოდნე მისირელნი, რომელნიც აქ დასახლდნენ ვერ ასწავლიდნენ ანუ არ ასწავლიდნენ წერასაო, მაშინ ჩვენ მეორე დებას [66]) დავადგებით და ვიტყვით, რომ თუ ქართველნი, მიუხედავად ყოველისავე ზემორე მოყვანილ საბუთებისა, მაინც საანბანოდ მომზადებულნი არ იყვნენ არა თუ მე-XIV საუკ. ქრისტეს წინად, არამედ თვით ფარნაოზამდეო, ამ შემთხვევაშიაც მაინც ვიტყვით, რომ საქართველოში წერა შემოვიდა არა უახლოეს მე-V—IV საუკ. ქრისტეს წინადაო, ესე იგი ფარნაოზზე ორის საუკუნით ადრეო. ამ შემთხვევაში საქართველოში გაავრცელებდნენ ანბანს ის ებრაელნი, რომელნიც მრავლად შემოვიდნენ ამ ქვეყანაში და დაესახლნენ მცხეთის ახლოს. ასეც რომ გვეთქვა, სიმართლე მაინც ჩვენ მხარეს იქნებოდა, რადგან ებრაულ ანბანში, როგორც ვნახეთ, ჩვენის ასოების მზგავსი ასოები მრავალია (იხ. ზემოდ).

მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენის პირველის აზრის გამტყუნება შეუძლებელი იქმნება, რადგან ჩვენმა მოპირისპირემ ამ შემთხვევაში უნდა უარ-ჰყოს სინამდვილე ყოველ იმ საბუთებისა, რომელნიც გვიჩვენებენ ქართველთა კეთილ-მდგომარეობას და ცივილიზაციას ქრისტეს უწინარეს საუკუნეებში და ამასთანავე არ მიიღოს ანუ გაამტყუნოს მზგავსება ქართულის ანბანებისა მისირიულთან, ეთიოპაბისინიურთან, უარ-ჰყოს ამ ერების შემოსვლა და დასახლება საქართველოში და მით გამოიყვანოს უსაბუთობა ჩვენის აზრისა, რომ ქართველთ მე-XIV საუკ. ადრე არ მოუგონიათ ანბანიო.

ამ პირველის ანბანიდამ, ჩვენის აზრით, ფარნაოზამდე უკვე იყვნენ წარმომდგარნი ყველა სხვა ანბანები.

აქ იქნება გვკითხონ: რად უნდოდათ ქართველებს ამდენი ანბანები, რატომ ერთს არ დასჯერდნენო? ამაზედ პასუხის მიცემის მაგიერ, ჩვენც ამას ვკითხავთ: რატომ ეხლანდელი ქართველნი არა ჰკმარდებიან ერთს ანბანსა და რად ხმარობენ ოთხსა? ან რად უნდოდათ მისირელთ ორი ანბანი რატომ ერთს არ დასჯერდებოდნენ, სახელდობრ, საღმრთო ანბანსა, რომელიც წარმოსდგა იეროგლიფურ ნიშნებიდამ და რად უნდოდათ, რომ იგონებდნენ ჰიერატიურს ანუ სახალხოს?

მ. ჯანაშვილი

(დასასრული იქნება)

[66]) „დება“ ინგლისურად იხმარება სწორედ იმ აზრით, როგორადაც რუსული положеніе.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი მასალა ისტორიისა ჯერ პირველად კრიტიკის ცეცხლში უნდა იქნას გატარებული და შემდეგ შესაძლებელია, რომ ეს განხილული მასალა გამოვიყენოთ. საზოგადოდ ყოველი მეცნიერი განურჩეველს და კრიტიკულად განუხილავს მასალას დიდის სიფრთხილით ეკიდება. დღეს ისტორიულ მეცნიერებამ დიდი ყურადღება მიაქცია თანამედროვე ეტნოგრაფიასაც. მეცნიერნი დიდის ალტაცებით სწავლობენ და იკვლევენ საოჯახო და საზოგადო თანამედროვე ერთა ზნე-ჩვეულებასა, მათს ცრუ-მორწმუნეობასა, მათს საქორწინო წესებსა, დღესასწაულებსა, დროს გატარებასა და სხვათა.

ჩვენ, ქართველებმა, უნდა შევისწავლოთ საქართველოს ყოველი კუთხე ეტნოგრაფიულად. როგორც სამართლიანად ამბობს ბ ნი ურბნელი, ბევრ მიზეზებისა და ჟამთა ვითარების გამო მდაბიო ხალხს ეკარგება წინანდელი ნამდვილი ქართული თვისებანი, საკუთარი ფიზიონომია; ხალხი ნელ-ნელა ივიწყებს თავის სიმღერებს, ზღაპრებს და ბევრს სხვას... ჩვენმა ინტელიგენციამ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას. აი ფრიად საყურადღებო აზრი ერთის რუსეთის მეცნიერის პროფესორ ცვეტაევისა საეტნოგრაფიო გამოკვლევათა შესახებ: „ჩვენ ვიცით,—ამბობს ცვეტაევი, რომ უმეტეს ნაწილად პოლიტიკური ისტორია არის შედეგი ან უფლები მოსილის მთავრობისა, ანუ უმაღლეს წოდების მოღვაწეობისა. საოჯახო წეს-წყობილება-კი ყოველ თავის ღირს-შესანიშნავ კერძოობითა და ცხოვრება ერისა ნათლად გვიხატავს მის საკუთარს ხასიათს და განსხვავებულს ყოფასა და ვითარებას. ერის ფიზიონომიას მშვენივრად ასურათებს მისი სარწმუნოებრივი და საერო დღესასწაულები, ახალ-თაობის აღზრდისა და ქორწინების წესნი და მისი პოეზია, რომელიც პირველ შეხედვით უფერულს სიტყვიერებასა ჰგავს მაგრამ ძვირფასს საისტორიო და საეტნოგრაფიო მასალას-კი შეიცავს“. დღეს რუსეთმაც იგრძნო ეტნოგრაფიის დაუფასებელი მნიშვნელობა და თითქმის ყოველ საუნივერსიტეტო ქალაქებში დაარსეს ეგრედ-წოდებულნი „ეტნოგრაფიის მოყვარეთა საზოგადოებანი“. ისე არ გავა წელიწადი, რომ ან თვით რუსეთმა (მხოლოდ უფრო იშვიათად-კი), ან დასავლეთ-ევროპამ და ან ამერიკამ არ გაჰგზავნონ სხვა-და-სხვა უცხო ქვეყნებში სამეცნიერო ექსპედიციები. ეხლა ევროპას აქვს შესწავლილი არა მარტო იმ ერთა ყოფა-ცხოვრება, რომელთაც ჰქონიათ რაიმე კულტურა, არამედ იმ ერებისაც, რომელნიც ისევ გარეულ ნადირებივით სცხოვრობენ.

მართალია, ჩვენს ინტელიგენციას შეძლება არა აქვს სამეცნიერო ექსპედიციები გაჰმართოს და გაჰგზავნოს ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა ადგილებში, მაგრამ ხალხის ყოფა-ცხოვრებისა, ზნე-ჩვეულებისა, ერთის სიტყვით, ეტნოგრაფიის შესწავლა უსაჭიროესს საგანს შეადგენს და ამიტომაც ჩვენმა მწერლობამაც შეძლებისა-და გვარად ხელი უნდა მოჰკიდოს ამ საგანს. ამ გვარ შესწავლისათვის უნდა ვისარგებლოთ იმ პროგრამმით, რომელიც დღეს განათლებულს ევროპასა აქვს ყოველ მხრივ შემუშავებული და განმარტებული. უმნიშვნელო არ იქნება მკითხველს მივუთითოთ მოსკოვში ახლად დაბეჭდილს პროგრამაზე, სახელად: „Труды Этнографическаго Отдѣла“.

ალ. გარსევანაშვილი

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

პარიჟში ამ დღეებში კრება ყოფილა ესრედ-წოდებულ „პატრიოტების ლიგისა“. კრებას დასწრებია გამოჩენილი დერულედი, რომელზედაც ამ ბოლოს დროს ცოტა როგორღაც ხმა მისწყდა. დერულედი ძლიერ არ მოსწონთ ბერლინში, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ დერულედი დაუცხრომელი მტერია გერმანიისა და მომხრე ომისა. დერულედს-კი აი რა უთქვამს:

ჩვენ სრულიად იმას არა ვცდილობთ, რომ უთუოდ ომი ავუტეხოთ გერმანიასა; არა, ჩვენს საზოგადოებას ეს არა აქვს სახეში, ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ ლაჩრობა, მხდალობა განვდევნოთ ჩვენში და ისევ აღვადგინოთ ძველებური მამაცობა და გულადობა საფრანგეთისა. ესეც რომ არ იყოს,—რა უნდა გერმანიას ელზას-ლოთრინგენებისაგან, რად აწუხებს? ამბობენ, ელზასი წინად გერმანიას ეკუთვნოდაო,—შესაძლოა, რომ ელზასი გერმანიის ქალი იყო, მაგრამ ეს ქალი საფრანგეთს მოსთხოვდა. მაშ რა უნდათ ჩვენგან გერმანელებს, იმათს ჯაშუშებსა? გამბეტას დროს არავინ გაჰბედავდა გადაეყენებინათ მინისტრი, ის მინისტრი, რომელსაც მაღლა ეჭირა დროშა და რომლის შიშიც ჰქონდა გერმანიასა.

მკითხველი, რასაკვირველია, მიჰხვდება, რომ დერულედი გენერალ ბულანჟეზე ლაპარაკობს.

**

ამ უკანასკნელს დროს ბევრსა ლაპარაკობდნენ საფრანგეთის პრეზიდენტზე, ბ-ნ გრევიზე. ამბობდნენ, რომ გრევის მოსწყინდა მეთაურობა ქვეყნისა, მოჰბეზრდა პოლიტიკა და უნდა პრეზიდენტობას თავი დაანებოსო, მაგრამ ეს ამბავი მართალი არ გამოდგა.

პრეზიდენტი ბ-ნი გრევი ძალიან კარგად არისო,—უთქვამს ერთს საფრანგეთის სახელმწიფო კაცს, რომელსაც დიდხანს ულაპარაკნია გრევისთან. თუმცა გრევი კარგა ხანში შესული კაცია, მაგრამ მაინც ძალიან ხალისიანად არის. ჭკუითა და სიცოცხლით არის სავსე მისი თვალები.

სამინისტროთა ხშირმა ცვლილებამა და სამსახურიდამ გადადგომამ უფრო გაამხნევა პრეზიდენტი. გრევი ახლა უფრო მეტს ყურადღებას აქცევს საგარეო პოლიტიკასა. უკანასკნელის სამინისტრო კრიზისის შემდეგ გრევიმ ყველას ცხადად აგრძნობინა, რომ მთავარი გამგებელი და ხელ-მძღვანელი საფრანგეთის საქმეებისა პრეზიდენტია. რაც დიდი და პასუხ-საგებელი რამ გადასწყვიტეს საფრანგეთში ამ ბოლოს დროს, ყველაფერი თითქმის გრევის მონდომებით მოხდაო.

გაზეთებმა მაინც ასე იციან: ყოველთვის, როცა-კი ქვეყანა ცოტაოდენს გაჭირებაში ჩავარდება, ან რაისამე ცვლილების მოლოდინი აქვს და მოუსვენრობას ჰგრძნობს ერი, გაზეთები მაშინვე დაჰკრამენ ნაღარას: მთავარი ხელ-მძღვანელი პოლიტიკისა, პატრონი ქვეყნისა თავს ანებებს პრეზიდენტობას, სამეფო ტახტს, რადგან არეულ-დარეულმა საქმეებმა, ჟამთა-ბრუნვამ და ქვეყნის დაუდგრომლობამ თავი მოაბეზრა და მოჰქანცაო. ასეთი ხმა გაავრცელეს სეპტენატის განხილვის შემდეგ იმპერატორ ვილჰელმზე, რომელიც ვითომ აპირობდა სამეფო ტახტი თავის მემკვიდრესათვის დაეთმოცა. ასეთივე ლაპარაკი იყო ამ რამდენისამე დღის წინად სერბიის მეფე მილანზე, რაკი ამ მეფეს უსიამოვნობა მოუვიდა და შესდგა რისტიჩის სამინისტრო.

**

სასაცილოა, როცა ისეთი გაზეთი, როგორიც არის „Варш. Днев.“-ი, ესარჩლება საკმაოდ ძლიერს ერს, როგორიც არის, მაგალითად, ხორვატელთა ერი და სწუხს, რომ უკანასკნელ არჩევანების დროს ხორვატელებმა ისე ვერ გაიმარჯვეს, როგორც ჩეხელებმა და ან კიდევ სერბიელებმაო.

გაზეთი ძრიელ უწყრება მადიარებს, რომელნიც, გაზეთის აზრით, სცდილობენ ძალათი გაამვონ საუკეთესო კანდიდატები ხორვატელებისა და არ აარჩევინონ ერს მამულის მოყვარე დეპუტატები.

რისტიჩის სამინისტრო, მართალია, მადიართა საქმეებში არ გაერევა, არც ცხადად, არც ფარულად, მაგრამ მაინც ასე თუ ისე უშველის ხორვატებსაო.

მაშ რაღასა სწუხს გაზეთი, თუ-კი საქმე ისეც უნუგეშო არ არის.

**

გაზ. „С.-Петер. Вѣд.“-ი შემდეგს ამბავს მოგვითხრობს ერთს რეცენზიების მწერალსა და არტისტ-ქალზე.

ერთმა რეცენზიების მწერალმა დაჰბეჭდა გაზეთში, რომ ესა-და ეს-არტისტი ქალი არ ვარგა და უნიჭოაო. გაზეთის რედაქტორი ეტყობა მინდობია რეცენზიების მწერალს და ურწმენია მისი ალღო, როგორც ხელოვნების დამფასებელისა. ამ შემთხვევაშიაც რეცენზენტს კერძოდ ახე სჩვენებია, რომ არტისტი-ქალი ვერ არის კარგი და ხელოვანიო. აქ საწყენი არა არის-რა არტისტისათვის. არტისტს შეუძლიან სთქვას: რეცენზენტი უვარგისი კრიტიკოსი ყოფილა და მორჩა და გათავდა. მაგრამ რეცენზენტს გაუვრცელებია არტისტ-ქალის შესახებ ჭორიცა. ეს-კი საძაგლობაა. ეს საწყენია და ამ შემთხვევაში უნდა აილაგმოს რეცენზენტი. მერე რა ღონე იღონა ქალმა? მივიდა რეცენზენტთან, გადაუგდო შლიაპა და სილა გააწნა. ესეც საძაგლობაა. მწერალმა თავის მხრით ჯოხი დაარტყა ქალს. ესეც მეტის-მეტი საძაგლობა და უზრდელობაა. ქალს ვინა სცემს განა ჯოხითა? ქალს ისტერიკა მოუვიდა, მაგრამ მაინც მისდევს რეცენზენტს, რომელიც კუდ-ამოძუებული მირბის ბალიდამ, საცა ეს ამბავი მოხდა. ქალი კიდევ სცემს კრიტიკოსსა, რომლისათვისაც თურმე მოსამსახურეს ხელები დაუჭერიათ: აქ მიეშველნენ ქალს სხვა არტისტებიცა და ისეთი უცენზურო ლაპარაკი მოხდა, რომ ჩვენ ვერ გავბედავთ გაზეთში განვიმეოროთ.

განსჯა და განკითხვაც ასეთი უნდა: ეს საძაგლობაა, ესეც საძაგლობაა, ეს კიდევ მეტი საძაგლობაა. სწორედ სოლომონ ბრძენი ყოფილა გაზეთი; ისიც-კი ვერ გაასამართლებდა ასე გამწვავებულ მოპირდა-პირეთა.

---

## რუსეთი

— უწმინდეს სინოდს შეუდგენია კერძო კომისია სასწავლებლების ვითარების გამოსაკვლევად. კომისიაში მონაწილეობა მიუღია სინოდის წევრებს გარდა საერო განათლების სამინისტროსაც და შეუმუშავებია პროექტი, რომლის ძალითაც საეკკლესიო სამრევლო სკოლები და პირველ დასაწყისი სასოფლო სკოლები ერთად შეერთებულ უნდა იქნენ. ეს ახლად შემუშავებული წესდება შეკა ძალაში ჯერჯერობით მარტო დასავლეთ რუსეთის გუბერნიებში და შემდეგ არხანგელსკისა და ორენბურგის გუბერნიებში. ამ ადგილებში გამოსაცდელად საერო განათლების პირველ დასაწყისი სასწავლებლები გადაკეთდებიან საეკკლესიო სამრევლო სასწავლებლებად და ამ სკოლების ზედამხედველობა საეპარქიო და საგუბერნიო სასკოლო საბჭოთა ხელში იქნება. ამას გარდა შესდგება ახალი უმაღლესი სასკოლო საბჭო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს არქიელი, გუბერნატორი და სასოფლო სკოლების დირექტორი.

— ახალის კანონის ძალით უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ სრულიად ნება არა აქვთ იქონიონ რუსეთში მამულები და ვისაც-კი აქვს რაიმე მამული, ამ სამის წლის განმავალობაში უნდა გაჰყიდოს. რადგანაც პრუსიის სამზღვარს ახლო-მახლო ბევრი მამულებია უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომების ხელში, ამის გამო ბევრს მემამულეს შეუტანია არზა და უთხოვნია, რომ რუსეთის ქვეშევრდომად ჩამრიცხეთო.

— პეტერბურგის სახელოსნო გამგეობა სთხოვს უმაღლეს მთავრობას, სახელოსნო გამოფენის გამართვის ნებას. ყველა ჰამქარს თავისი გამოფენა ექნება. სხვათა შორის გამოფენილი იქნება ნაწარმოებნი სამზარეულო და საკანდიტრო ხელოვნებისა, ხარაზთა, დერციკთა, დურგალთა და სხვათა. ყოველი გამოფენა თითო კვირის განმავლობაში იქნება გამართული და შესვლის ბილეთი ექვს შაურზე მეტი არ ეღირება.

— როგორც სწერენ რუსეთის გაზეთებში: შავ ზღვაზე მოსიარულე გემებზედ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ სამსახურში ამას იქით აღარ მიიღებენ და ვინც კი არიან, იმათაც დაითხოვენო.

---

## უცხოეთი

**ინგლისი.** ამ უკანასკნელს ხანებში ინგლისმა იდღესასწაულა ინგლისის დედოფლის ორმოც-და-ათის წლის იუბილეი, რომელზედაც დაესწრნენ არა მარტო თვით ინგლისისა და იმის სხვა-და-სხვა ქვეშევრდომ ერთა წარმომადგენელნი, არამედ ყველა ევროპიელ სახელმწიფოთა წარმომადგენელნიცა. ამ იუბილეიზე ნათლად გამოიხატა, თუ რაოდენი სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია დედოფალს ვიქტორიას ინგლისში და სხვა ქვეყნებშიაც. მხოლოდ ერთი რამ ძალიან თვალ-საჩინო იყო ამ მდიდრულს იუბილეიზე. შორეულ ქვეშევრდომთა წარმომადგენელთა შორის არ მოსჩანდნენ წარმომადგენელნი მეზობელ ირლანდიისა, რომელსაც არ ისურვა თურმე მონაწილეობა მიეღო საერთო სიხარულში და თვისი სიყვარული გამოეცხადებინა მოხუც დედოფლისათვის.

რა იყო მიზეზი იმისა, რომ ირლანდია განს გაუდგა ინგლისის სხვა ქვეშევრდომთა და საჭიროდ არა სცნო თვისი წარმომადგენელნი გაეგზავნა იუბილეიზე. ამაზე ირლანდიის გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ და სცდილობენ ახსნან ირლანდიის ქცევა დედოფალ ვიქტორიას შესახებ.

ჩვენ პატივსა ვსცემთ დედოფალს, მაგრამ იმ დროს, როცა ჩვენ ასეთი შეწუხება გვადგია, ჩვენ არ გვინდა მონაწილეობა მივიღოთ საერთო დღესასწაულში. როგორ უნდა ვიდღესასწაულოთ მაშინ, როცა ვიქტორიას მეფობის დროს მოგვესპო ყოველივე იმედი, რომელიც ჩვენს წარმატებასა და ბედნიერებასა გვპირდებოდა... ერთი ბედნიერი წამი იყო ვიქტორიას მეფობის დროს, როცა იმედები გაგვიცხოველდა. ეს იყო წარსულს წელს, როცა გლადსტონმა წარადგინა თვისი კანონ-პროექტი შესახებ ირლანდიის ყოფა-ცხოვრების გაკეთებისა... საკვირველიც იქმნებოდა, ჩვენ მონაწილეობა მიგვეღო დღესასწაულშიო.

გაზეთ „Derry Journal“-ი ამბობს, რომ ჩვენ არ გვხელმძღვანელობს ვიქტორიას მიმართ სიძულვილით ან რომელისამე პირადის გრძნობით. თვით დედოფალს არ ესიამოვნებოდა, ჩვენ რომ დღევანდელს დღესასწაულში გავრეულიყავით.. ნუ თუ ინგლისელნი, ჩვენს ყოფაში რომ ყოფილიყვნენ, დაესწრებოდნენ ამ იუბილეისაო?..

**გერმანია.** იმ ჯარებს, რომლებიც ელზას-ლოტარინგიაში დგანან, ბრძანება მიუციათ, არ მიიღონ სამსახურში ამ პროვინციის მცხოვრებნი. ეს უკანასკნელნი დღეის იქით იმ ჯარებში უნდა მსახურებდნენ, რომლებიც თვით გერმანიაში ბინადრობენ. დღემდის ელზას-ლოტარინგელნი ვოლონტიორები გერმანიის ჯარებში განსაკუთრებულ დასებად იყვნენ. ეს დასები სამხედრო მთავრობამ ვერას გზით ვერ მოარჯულა და ვერ გააგერმანიელა.

ლეიპციგში მოუყვანიათ სამი ბრალდებული, რომლებიც უნდა წარსდგნენ იმპერიის უმაღლეს სასამართლოს წინაშე. ორს მათგანს, კლეინსა და გრებერტს, ბრალი ედებათ ვითომც იმათ გარდასცეს საფრანგეთის მთავრობას სხვა-და-სხვა ციხე-სიმაგრეთა პლანები და ზოგიერთი სამხედრო ცნობანი შეატყობინესო. გერმანიის კანონის ძალით ამ გვარ დამნაშავეთ მიესაჯებათ ხოლმე ციხეში დაპატიმრება ორის წლის ვადით მაინც და ნაკლები-კი არას გზით.

**საფრანგეთი.** 13-ს (25) ივნისს პარიჟში შესდგა „პატრიოტთა საზოგადოების“ კრება იმ განზრახვით, რომ პროტესტი განაცხადონ ლეიპციგის სასამართლოს განაჩენის შესახებ. კრება დაიწყო დერულედის სიტყვით. მან, სხვათა შორის, სთქვა, რომ ლეიპციგში უსამართლოდ განუჩინეს სასჯელი ბრალდებულთაო. დერულედმა განაგრძო, რომ ჩვენ არა ვართ ომის მსურველნიო. მეორე ორატორი, დელონკლე, სცდილობდა სრულიად დაერღვია ლეიპციგის ბრალმდებელის საბრალმდებლო სიტყვა. ორატორი შეეხო თუ არა ჯაშუშობას, რომელსაც გერმანია სწამებს საფრანგეთის ქვეშევრდომებს, სთქვა: დავეკითხოთ გერმანიას, რას აკეთებს საფრანგეთში იმ გერმანიელთა ხრო, რომელნიც აქა სცხოვრებენო.

ამასობაში იმ სახლის წინ, სადაც კრება იყო, მოგროვდა ხალხი და დაიწყო მარსელიეზის სიმღერა და ყვირილი: „გაუმარჯოს ბულანჟეს, გაუმარჯოს საფრანგეთსაო“ და სხვანი. ამოდენა ხალხი სიმღერით ბულვრებს მოჰყვა; პოლიციელები სცდილობდნენ პროცესსია შეეჩერებინათ, მაგრამ ვერა გაეწყოს-რა. ამიტომაც მოწოდებულ იქმნენ პოლიციელთა დასნი და, როგორც იყო, მხოლოდ შუაღამისას ჩამოვარდა წესიერება.

---

## განსხვავება

**ქმრიანი ქვრივი.** აი ერთი რა საკვირველი ამბავი მომხდარა რუსეთში: ამ ხუთის წლის წინად კიევის მაზრის სოფ. სტრემოვკის სამსახურიდგან დროებით დათხოვნილ ჯარის-კაცის ტიმოთე ვარენენკოსათვის, რომელსაც ცხენის ქურდობა დაჰბრალებია,

ადგილობრივს მომრიგებელ-მოსამართლეს სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდი წაურთმევია. ამის შემდეგ გარენენკო უეჭველად წასასვლელი ყოფილა სადღაც, უთხოვნია თავის მეგობარ ჯარის-კაცის კორჟენკოსაგან იმის დროებით დათხოვნის ქაღალდი, მოუპარავს სადღაც ცხენი და წასულა დაბა მაკაროვში იარმუკობის დროს; იქ დაუჭერიათ ცხენის მოპარვისათვის, უცემნიათ და კიევის საპატიმროში დაუპატიმრებიათ. გარენენკო ისე ძალიანა ყოფილა ნაცემი, რომ საპატიმროშივე გარდაცვლილა. სასამართლოშივე გარენენკო კორჟენკოს სახელით განასამართლეს თურმე სიკვდილამდე და სიკვდილის შემდეგ კორჟენკოს ცოლს მისვლია ქაღალდი, რომ თქვენი ქმარი გარდაიცვალა და დაქვრივდითო, მაშინ როდესაც კორჟენკო ცოცხალი ყოფილა და ისიც საპატიმროში ყოფილა დაპატიმრებული ცხენის ქურდობისათვის. ამასობაში ნაძდვილად დაქვრივებულს, გარდაცვალებულის ვარენენკოს ცოლს ქმრის შერთვა სდომებია და ნება არ მიუციათ, რადგან მისი ქმარი, კორჟენკოს სახელით გარდაცვალებული, ცოცხლად ირიცხება თურმე.

# დეპეშა

23 ივნისი

პეტერბურგი. ხმები ისმის, ვითომ გზათა სამინისტროში პროექტი იყოს შეტანილი იმის შესახებ, რომ შესდგეს სააქციონერო საზოგადოება რკინის გზის გასაკეთებლად ურალსკიდამ ორენბურგის რკინის გზის სადგურ ტომილოვკამდე. დამფუძნებლად ასახელებენ: კამერჰერს ბოდისკოს, კოლლეჟსკი სოვეტნიკს იურიევიჩს და პეტერბურგის ვაჭარს ლეპენაუსა.

გუშინ საღამოს დაბრუნდა ლონდონიდამ პეტერბურგს პოლკოვნიკი რიჯვეი. ავღანის კომისია ხელახლად დაიწყებს მოქმედებასა და იმედიცა აქვთ, რომ სამიჯნო საქმე მალე და კეთილად გათავდებაო.

იალტა. სერბიის დედოფალი გუშინ ოდესაში წავიდა.

ბერლინი. გაზეთს «Boersre Curier»-ს დეპეშით აუწყებენ ტირნოვიდგან 21 ივნისს (3 ივლისსა): დიდ საერო კრებაზე ბოლგარიის წარმომადგენელნი სრულად დაესწრნენ; კრებაზე მოვიდნენ აგრეთვე ის მინისტრებიც, რომელნიც მთავრობის მოწინააღმდეგედ ითვლებიან, არ მოსულა მხოლოდ ნაჩევიჩი. ერთს არა-საჯაროდ მომხდარ კრებაზე ყველანი დათანხმებულან იმაზე, თუ რა გვარ დაადგინონ უმთავრესი საგნები, რომელიც პირველ საჯარო კრებაზე განხილულ უნდა იქმნას. უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ჯერ არ მოსულან.

მადრიდი. ვალენსიაში უწესოება მომხდარა იმის გამო, რომ საქონელზე ბაჟი მოუმატნიათ. თითქმის ყველა იმ ადგილებისთვის, საცა ბაჟს აგროვებენ, ცეცხლი მოუკიდნიათ. ასეთივე ამბები მოდის ბარცელონიდამაც.

სტამბოლი. ოსმალეთს მაჭმუდფაშა გაუგზავნია კრიტის კუნძულზე იქაურების დასამშვიდებლად.

ბერლინი. გუშინ იმპერატორი ემსში წავიდა.

ლონდონი. ინგლისის წარმომადგენელთ სამზღვარ გარედ მო-

წერილობა მოჰხვლიათ: სთხოვეთ სახელმწიფოთა, რომელთაც საქმის უკეთესად მოწყობა ჰსურთ, მოიწვიონ ერთა-შორისი კონფერენცია შაქრის წარმოების გასასინჯადა.

პეტერბურგის ბირჟა, 19-ს ივნისს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 20 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 178¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . | — » | — » | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 265½ |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 250 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | 98¾ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | 98 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | 83¾ | — » | — » |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წლისა. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

თიბათვე 30 დღით არის

**24 დღე ოთხშაბათი.** შობა ნათლისმცემლისა წმ. იოანე წინამორბედისა. აგრეთვე კათოლიკეთა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—31, ჩადის 7—37. მთვარე 16 დღისაა.

**25 დღე ხუთშაბათი.** ქალწ.-მოწ. თებრონიასი. კათოლ. ეპ. პროსპერისა და აბ. ვილჰელმისა. სომეხ. წმ. ისააკისა და მესროპისა, დაბადების მთარგმნელთა სომხურს ენაზედ. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—32, ჩადის 7—37. მთვარე 17 დღისა.

**26 დღე პარასკევი.** დავით თესალონიკელისა. კათოლ. იოანნასი, პავლესი და პელაგიასი. სომეხ. მარხვაა. მუსულმ. მე-17 რიცხვი თთვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—32, ჩადის 7—36. მთვარე 18 დღისაა.

**27 დღე შაბათი.** ღირს. გიორგი მთაწმინდელისა. კათოლ. ვლადისლავისა და ვიტალიასი. სომეხ. წმ. ტრდატ მეფისა სომეხთა, მისის მეუღლის აშხენ დედოფლისა, ხოსროვიდუხტისა. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—36. მთვარე 19 დღისაა.

**28 დღე კჳირა.** აღმოყვანება ნაწილთა წმ. საკვ.-მოქმედ. კვიროსი, იოანესი და პავლე მკურნალისა. კათოლ. ლეონ II-ისა, ირინესი და პლუტარხისა. სომეხ. პოვნა წმ. ღვთისმშობლის სამოსლისა. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—35, ჩადის 7—36. მთვარე 20 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივნიისიდამ 1 ივლისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | » |
| » 2 » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | » |
| ჯვარის მამის პურის ღაჯაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | » |
| მე-3 — . . . | » | » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |
| სუკი. . . . | 13 | » |
| ცხვრის ხორცი . . . | 8 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | » |
| » 2 » | » | » |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუსეთის-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ, მერე ბათუმიდა პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## კერძო განცხადებანი

## ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ რადგანაც პირველ ვაჭრობის დროს, 18 ივნისს 1887 წელს, მამულები სრულიად არ გაიყიდა, 3 ივლისს 1887 წელს დანიშნულია ხელ-მეორედ უკანასკნელი ვაჭრობა დღის 12 საათზე, ბანკის სადგომში, ფრეილენის ქუჩაზე, არწრუნისეულ სახლებში. გასასყიდად დანიშნულია შემდეგი მამულები:

I ქალაქის მამულები

პასკევიჩისა, მარიამ პეტრეს ასული, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და საჯინიბოთი, მიწის ზომა 321 ოთხ-კუთხი საჟ. 9 ნაწ. 2 განყოფ. ქ. ტფილისს, ნიკოლაევის ქუჩაზე. თავნი ვალი 27420 მ. 64 კ. შემოსატანი 1443 მ. სულ 28863 მ. 64 კ.

ბარაბაშევისა, ელენე ელასას ასული: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ერთ-სართულიანი ფლიგელი, ფურნე, სარდაფი სამ განყოფილებად და ყოველისავე მოწყობილებით, მიწა ზომით 347$^{20}/_{100}$ ოთხ-კუთხი ს. ქ. ტფილისს მე-11 ნაწილში, მე 2 განყოფილებაში. თავნი ვალი 12509 მ. 84 კ. შემოსატანი 679 მ. 80 კ. სულ 13189 მ. 64 კ.

ყორღანოვი, გრიგოლ იაკობის ძე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 54$^{65}/_{100}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისში, მე 5 ნაწილში, 1 განყოფ. თავნი ვალი 2967 მან. 9 კაპ. შემოსატანი 285 მან. 77 კ. სულ 3252 მან. 86 კაპ.

ელიოზიშვილისა, ელისაბედ იაკობის ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით; სამ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით და ერთ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით 203 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში ქ. ტფილისს, ამაღლების ქუჩაზედ. თავნი ვალი 9829 მან. 18 კ. შემოს. 619 მან. სულ 10,448 მან. 18 კაპ.

ანდრონიკოვისა, თებრონია გიორგის ასული: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, მიწა ზომით: სიგრძით 25 და სიგანით 15 საჟ. ქ. სიღნაღში, თავნი ვალი 1847 მან. 62 კ. შემოსატანი 127 მან. 23 კ. სულ 1974 მან. 85 კ.

ტერ-მარუქოვისა, ეკატერინე ნიკიტას ასულისა, ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით, ყველა მოწყობილობით და მიწა სიგძით 72 არშ. სიგანით 32 არშ. რუსულის ზომისა. ქ. ერევანში, ტაპაბაშინსკის კვარტალში. თავნი ვალი 4567 მ. 14 კ. შეს. გარდას. 279 მ. 95 კ. სულ 4847 მ. 9 კ.

ქუთათელაძისა, მართა ყაფლანის ასული: ტყე, ზომით 203 დესიატ. 480 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. თელავის მაზრაში, სოფ. ზემო-ხოდაშენს. თავნი ვალი 949 მან. 64 კაპ. შემოს. 98 მან. 44 კაპ. სულ 1048 მან. 8 კაპ.

დოდაევისა, თამარა ალექსანდრეს ასული. სახნავი მიწები და ტყე ზომით 308 დეს. 660 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, ახშაანის და ობალიძეს აგარაკში. თავნი ვალი 5885 მან. 8 კ შემოს. 321 მან. 20 კაპ. სულ 6206 მან. 28 კაპ.

სოფლის მამულები

ფირაქოვი, ივანე ადამის ძე: სახნავი, საძოვარი მიწები, სათიბი და ტყე, ზიმით 4765 დეს. ტფილისის გუბ. ტფილისის მაზრაში, სოფ. ლამბალოში. თავნი ვალი 57849 მან. 28 კაპ. შემოსატანი 3210 მან. 66 კაპ. სულ 61,059 მან. 94 კაპ.

მირიმანოვი, სოლომან მირიმანის ძე: სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 2691 დეს. 1950 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის მაზრას, სოფ. დრესა, წვერისსა და წროულთსა. თავნი ვალი 38853 მან. 59 კაპ. შესავსებელი გარდასახადი 1708 მან. სულ 40560 მან. 59 კაპ.

შალიკოვები, კონსტანტინე როსტომის ძე; ნიკოლოზი, გიორგი, მიხეილ დიმიტრის ძენი და სალომე პანტელეიმონის ასული: სახნავი, საძოვარი, სათიბი, ტყე, ხეხილიანი ვენახი, წისქვილი და შენობანი 1447 დეს, 2296 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. გორის მაზრაში, სოფ. სკრაში. თავნი ვალი 31661 მან. 34 კაპ. შემოსატანი 2419 მან. 16 კაპ. სულ 34080 მან. 77 კაპ.

ანდრუშკევიჩი, ფაუსტინე მიხეილის ძე: სახნავ-საძოვარი, სათიბი და ტყე, 340 დესიატინა 1140 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით ტფილ. გუბერნ. გორის მაზრაში, სოფ. ახალ-ქალაქში და კავთისხევში. თავნი ვალი 4839 მან. 91 კაპ. შემოსატანი 222 მან. სულ 5061 მ. 91 კ.

თარხან-მოურავი, ლუკა ესტატეს ძე: სახნავი, სათიბი, საძოვარი და ტყე სულ 810 დეს. 600 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. გორის მაზრაში, სათარხნოში. თავნი ვალი 5342 მ. 37 კ. შემოსატანი 375 მ. 12 კ. სულ 5717 მან. 49 კ.

გედევანოვები, ვლადიმირ, პელაგია, ივანე და მართა მიხეილის ძენი: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 29 დესიატ. 60 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. დუშეთის მაზრას, სოფ. ქინძარაში. თავნი ვალი 1200 მან. შესავსებელი გარდასახადი 41 მან. 80 კაპ. სულ 1241 მან. 80 კაპ.

ამილახვარი, მიხეილ გივის ძე: სახნავი, სათიბი ადგილება ზომით 252 დესიატ. 235 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრის დაჩებში: ზემო და ქვემო სობისში და ღდულეთში. თავნი ვალი 9777 მან. 69 კაპ. შემოს. 434 მან. სულ 10211 მან. 69 კაპ. (1—1

თამბაქო და პაპიროსები

დონის როსტოველ მეფაბრიკეთა

ძმათა ასლანიდებისა.

მაღაზია ყალამქაროვის სახლში, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პაპიროსის მწეველთა და თუთუნის გამჭართა, რომ ამა წლის 15 თებერვლიდგან ჩვენ დავიწყეთ თამბაქოს გაჭრობა; იდით ყველა გვარისა და ღირსების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისაა, იხეთი კარგი მოსაწევია, გრილია და სასიამოვნოდ სუნელოვანი, რომ დიდი ხმა აქვს გავარდნილი და დიდ-ძალიც ისყიდება რუსეთის იმპერიის ბევრს დიდს ქალაქებში და სამზღვარ-გარედ. ტფილისში და ამიერ-კავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გავმართეთ ზემოხსენებული საფაბრიკო მაღაზია და გვსურს გავავრცელოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი. უმორჩილესად ვსთხოვთ პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, ინებონ და იგემონ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები.

ბბ-ნთ გამჭართ იმდენი დაუთმობათ თუთუნის ხყიდვის დროს, რამდენსაც საზოგადოდ ფაბრიკები უთმობენ ხოლმე.

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები

(25—23)